სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N189

ქ.დუშეთი **10 სექტემბერი 2018 წელი**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა ბ/კ **TRESGE22**, ა/ა GE24NB0330100200116502 2 – შემდგომში „შემსყიდველი"

და მეორეს მხრივ:„შპს „საქგზამეცნიერება ", რომლის რეკვიზიტებია : ქ თბილისი,ბახტრიონის ქN6 ბ N24.იურიდიული მისამართი, ანა პოლიტკოვსკაიას 8ა ფიზ.მის. ს/კ,212272208 მომსახურე ბანკი სს„საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 , ა/ა GE16BG0000000265723300 1, შემდგომში „მიმწოდებელი"

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 4 სექტემბრის N2040 განკარგულებისა, და სხვა მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 დუშეთი კობიაანთკარის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაციის.2. სოფელ ყარსიმაანთკარსი გზის რეაბილიტაციის. 3.სოფელ ბაგის გზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადება.

1.3 მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის დაამზადოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ტექნიკური დავალების შესაბამისად.

1.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა

1.4კლასიფიკატორის კოდი: CPV- 71300000

1.5 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 20 000 (ოცი ათასი) ლარს.

2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

2.5„დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საერთო სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი

კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის(ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა,წუნდებული მომსახურების შეცვლა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიმღები კომისია.

5. მომსახურების მიწოდების პირობები

5.1 მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი)კალენდარული დღე

5.2. საპროექტო კომპანიამ, არსებული მდგომარეობის შესწავლა, წინა საპროექტო კვლევა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (უსასყიდლოდ) განახორციელოს A-ტიპის ინსპექტირების ორგანოსთან - შპს „მშენ-ექსპერტი"-თან შეთანხმებით; (შპს„მშენ-ექსპერტი"-ს დირექტორი მალხაზ წიქარიშვილი, ტელ: 599-73-02-15)

5.3 მიმწოდებელმა მიწოდების ვადის პერიოდში შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მზა პროექტები ეტაპობრივად რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შპს„მშენ-ექსპერტი"-ს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა;

5.4 შპს „მშენ-ექსპერტი"-ს მიერ გაცემულ საექსპერტო დასკვნის საფასურს გადაიხდის შემსყიდველი ორგანიზაცია;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად მომსახურების მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხემუხლის 4.5 პუნქტში მითითებული პირები). საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ეგზემპლიარების რაოდენობა:

ა) საპროექტო დოკუმენტაცია _ 3 ეგზემპლიარი ბეჭდური (A-3 და A-4 ფორმატები);

ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია _ 3 ეგზემპლიარი ბეჭდური (A-4 ფორმატი);

გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ელექტრო (PDF და Excel ფაილები) ვერსია _ 1 CD/DWD დისკი;

დ) საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველ ორგანიზაციას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სამუშაო ელექტრონული ფაილები (MS Word, Excel, AutoCAD, ArchiCAD და სხვა).

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება „მიმწოდებელსა" და „შემსყიდველს" შორის ეტაპობრივად „მიღება-ჩაბარების აქტის" გაფორმების შემდგომ.

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ განიხილება.

7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8. ფასები

8.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

8.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

8.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.1 „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებაგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მომწოდებლის" საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) მომსახურება გასწიოს ხელშეკრულების მე-5 მუხლსა და დეტალურ ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;

გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უზრუნველყოს პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ ობიექტზე, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის გადაცემული დეტალური ტექნიკური დავალებითა და პროექტირებას დაქვემდებარებული თითოეული ობიექტის შინაარსიდან გამომდინარე, ზოგადი ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ნებისმიერი უზუსტობა ან/და შეუსაბამობება აცნობოს შემსყიდველს;

დ) 5 სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს საპროექტოსახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში ან/და მისი დასრულების შემდგომ, ინსპექტირების (ექსპერტიზის) შედეგად გამოვლენილი შენიშვნები (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლენილი შეუსაბამობები ნორმატიულ-ტექნიკური დეკუმენტებთან და

ტექნიკური დავალების მოთხოვნებთან) ან წარმოადგინოს მათზე არგუმენტირებული პასუხები;
ე) სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლენილი უზუსტობების ან/და შეუსაბამობების შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ წერილობითი მიმართვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება და კორექტირებული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის მიწოდება;

14.ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას იმით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვაროონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს

გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18.შეტყობინება

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

19.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2019 წლის 31დ ეკემბერი

21.სხვა პირობები

21.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და მეორე პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

21.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი ; /ზ.სეხნიაშვილი/

შპს „საქგზამეცნიერებას" დირექტორი /თ. შილაკაძე/

იურისტი:

გასაწევი მომსახურება

1. გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი:

საავტომობილო გზები რეაბილიტაციის (შემდგომში „რეაბილიტაცია") სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობა.

აღნიშნული მომსახურება გულისხმობს საავტომობილო გზების, მასზე განლაგებული ხელოვნური ნაგებობების (კედელი, მილი, ხიდი, გვირაბი, გზაგამტარი და სხვა) ჩათვლით რეაბილიტაციას.

მომსახურების ძირითადი სახეობები:

1. საველე საკვლევაძიებო და კამერალური სამუშაოები;
2. საპროექტო სამუშაოები (ტექნიკური გადაწყვეტილებები და მშენებლობის ორგანიზაცია);
3. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტის სავარუდო ღირებულების დადგენა;
4. სატენდერო დოკუმენტაციების მომზადება.

2017 – 2018 წლების განმავლობაში (ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი) „რეაბილიტაცია"-ს სამუშაოების სავარუდო ღირებულება, რაზედაც უნდა შემუშავდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შეადგენს 0,8 მლ. ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

2. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები:

- მომსახურების გაწევის ვადა შეადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან - 60 კალენდარულ დღეს;
- ყოველ ცალკეულ ობიექტზე „რეაბილიტაცია"-ს სამუშაოებისათვის შესადგენად საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების ვადები განისაზღვრება ტექნიკური დავალებით, რომელსაც გასცემს დამკვეთი (დუშეთის რაიონის გამგეობა);
- საჭირო შემთხვევაში თითოეული პროექტის შესრულების ვადების კორექტირება დაიშვება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;

- იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ ობიექტებზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დასრულების ვადები სცილდება ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებს, მიმწოდებელი აგრძელებს გასაწევ მომსახურებას ასეთ ობიექტზე სამუშაოების მთლიანად დასრულებამდე (საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ ობიექტებზე საავტორო ზედამხედველობის ჩათვლით), მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე შესაბამისი დანართის გაფორმებით;
- საჭირო შემთხვევებში, მიმწოდებელთან შეთანხმებით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები შესყიდვის საწყის გეგმაში. წლიური დაფინანსების მოცულობის შემცირების ან სხვა მიზეზების გამო შეამციროს მომსახურების მოცულობა და მიმწოდებელს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია ტენდერით განსაზღვრული მოცულობის შეუსრულებლობის გამო;
- ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პირობებში;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

ტექნიკური დავალება

საპროექტო ობიექტის მდებარეობა:

ტექნიკური მაჩვენებლები:

ახალი ხიდის მოწყობა (დაზუსტდეს პროექტირებისას)

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

1. განმარტებით ბარათს, განმარტებითი ბარათი უნდა მოიცავდეს ობიექტის არსებული მდგომარეობის დეტალურ აღწერას, საპროექტო გადაწყვეტილებებს, შესარულებელ სამუშაოთა აღწერას. ადგილის შერჩევას და კვლევას. (დამკვეთთან შეთანხმებით);
2. საინჟინრო გეოლოგიურ და საჭიროების შემთხვევაში ჰიდროლოგიურ დასკვნებს. (დეტალური დასკვნის წარმოდგენა გრაფიკული ჭრილებით, გრუნტის ჭრილების აღება და სხვა გეოტექნიკური კვლევები, წარმოდგენილი იქნას ფოტომასალა). საინჟინრო გეოლოგიურ კვლევას აუცილებლად დაესწროს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
3. სამშენებლო სამუშაოების მოცულობებს;
4. მუშა ნახაზებს (გეგმები, ჭრილები, დეტალები, კვანძები, მოაჯირის კონსტრუქციები, განივი პროფილები, გრძივი პროფილი ხიდის გზაგამტარი პროფილის გასწვრივ). სავალი ნაწილის სამოსის კონსტრუქციის ტიპების შერჩევა შეთანხმდეს დამკვეთთან;
5. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს. (მათ შორის სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიური სქემები, კალენდარული გრაფიკები, მანქანა მექანიზმების ჩამონათვალი, შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები და სხვა);
6. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული უნდა იქნას სამუშაოების/მომსახურების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენების (ინერტული) განთავსება დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე;
7. საჭიროების შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. - საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ნაბეჭდი (4 ეგზემპლ.) და ელექტრონული ვერსიის სახით, ფონტით - „sylfaen", ხოლო ლათინური სიმბოლოები - „Calibri"-ით, (პროექტი - „PDF" და „DWG", ხარჯთაღრიცხვა - „EXCEL" ფორმატში). - მიმწოდებელი ვალდებულია ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში, გაითვალისწინოს მისი შეტანა საპროექტო დოკუმენტაციაში დამატებითი ანაზღაურების გარეშე (დამკვეთთან შეთანხმებით);

- გამარჯვებულმა საპროექტო კომპანიამ, არსებული მდგომარეობის შესწავლა, წინა საპროექტო კვლევა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა განახორციელოს ინსპექტირების ორგანოსთან - შპს „მშენექსპერტთან"-თან ერთად;
- შემსყიდველი მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს შპს „მშენექსპერტი"-ს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის გათვალისწინების საფუძველზე;
- მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის შედგენა საბაზრო და რესურსული ფასებით, მოქმედი ნორმატივების გათვალისწინებით.

დამატებითი მოთხოვნები

- ხარჯთაღრიცხვა შედგენილი იყოს 2014 წლის 14 იანვრის საქართველოს მთავრობის N52 და N55 დადგენილებების მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით. სამშენებლო ნორმებისა და წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად (რესურსული მეთოდით), სადაც ცალ-ცალკე იქნება გამოყოფილი კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალების ხარჯის ნორმები, შრომითი ღირებულებები (კაც/სთ) და მანქანა-მექანიზმების მარკები და ტიპები;
- აგრეთვე ხარჯთაღრიცხვაში, კონკრეტულ პუნქტ(ებ)ში, მასალის არსებობის შემთხვევაში, ზუსტად უნდა იყოს აღწერილი გამოსაყენებელი მასალის განზომილებები (გამოსაყენებელი მასალის სისქე და ხარისხის აღმნიშვნელი სხვა აუცილებელი მახასიათებლები);
- პროექტში სხვა დამატებითი აუცილებელი სამუშაოების წარმოქმნის შემთხვევაში, სამუშაოების პროექტში გათვალისწინება განხორციელდეს შემსყიდველთან შეთანხმებით.

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.დუშეთი

10.09.2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში (ხელშეკრულება N 189 10.09. 2018 წ.)მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი /ი. ღარიბაშვილი/

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი /ვ. კობაიძე/

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი /მ. ველთაური/

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი /მ. ზაქარიაშვილი/